სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

გადაწყვეტილება №გ-1/011/2021

განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **18/01/2021**

განმცხადებელი:

მოთხოვნა: განცხადებაში მითითებული გარემოებების ფარგლებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს (შემდგომში - სამსახური) 2020 წლის 02 ნოემბერს №SIS 0 20 00017867 განცხადებით მომართა რომელიც განცხადებაში მიუთითებდა, რომ "-ს სახელით იღებდა საინფორმაციო ხასიათის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. განმცხადებლის განმარტებით, პირველ ეტაპზე მან მოითხოვა კომპანიის მიერ ყველა სახის კომუნიკაციის შეწყვეტა, რისი შეუსრულებლობის შემდგომ მოითხოვა მისი ანგარიშისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის (მათ შორის, პირადი) განადგურება. აღნიშნულის თაობაზე განმცხადებელმა კომპანიას, მათ შორის, 2020 წლის 20 ოქტომბერს მიმართა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" (შემდგომში - ფეისბუქი) გვერდზე, ხოლო 11 მაისს მიმართა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თუმცა, კომპანიას მის მოთხოვნაზე რეაგირება არ ჰქონია.

განცხადებაზე თანდართული ფოტომასალის (ე.წ. „სქრინშოთი") მიხედვით:

- ✓ მობილური ტელეფონის ნომერზე *(შენიშვნა: ფოტოსურათზე არ ჩანს, თუ რომელი მობილური ტელეფონის ნომერზეა შესული შეტყობინება)* 24 მარტს, 08, 10 და 27 აპრილს, 07 და 11 მაისს, 13 ივლისს, 05 და 27 აგვისტოს და 20 ოქტომბერს , '-ს სახელით შესულია საინფორმაცია ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები. მათ შორის, 2020 წლის 20 ოქტომბერს მობილური ტელეფონის ნომერზე , '-ს სახელით შესულია შემდეგი შეტყობინება - „გამარჯობა, ავიაკომპანიის ტარიფების გაზრდის გამო ტრანსპორტირების ღირებულება ხდება 9$. ეს ეხება 26 ოქტომბრიდან ჩვენს საწყობში მისულ ამანათებს";
- ✓ -ს სახელით ელექტრონული ფოსტის მისამართზე - 11 მაისს 19:44 საათზე გაგზავნილია შემდეგი შინაარსის ტექსტი: *„გამარჯობა, გთხოვთ, შეწყვიტოთ ჩემ ნომერზე ყველა სახის SMS-ის გამოგზავნა (გარდა ამანათის მიღება-გამოგზავნა*

ჩამოსვლის შესახებ აუცილებელი მესიჯებისა). მოდის ერთი და იგივე ტექსტი 3-4-ჯერ, ან მეტჯერ. ნომერი: შევლონდით. პატივისცემით, ხალხი";

- ✓ ფოტომასალის მიხედვით, ფეისბუქის გვერდისთვის - , ამანათების ტრანსპორტირება ჩინეთიდან" გაგზავნილია, მათ შორის, შემდეგი შინაარსის შეტყობინებები: „ნუ მიგზავნით მესიჯებს", „არ მაინტერესებს", , ", „გამორთეთ", „ნუ მიგზავნით ბიჭო ამ ნაგავს, თორემ ჯარიმებით აგავსებთ", „გამორთეთ საერთოდ", „გაანადგურეთ", „პირად ნომერს ვერ მოგწერთ", „ელ-ფოსტა: ', „არ შედის. პროლის აღდგენას რომ ვაკეთებ, მეუბნება, რომ არ არსებობს ეს ანგარიში", „გეუბნებით, ნუ გზავნით SMS სპამს. მე აქ დავამთავრე. კიდევ ერთხელ მოვა ჩემს სახელზე რეგისტრირებულ ნომრებზე თქვენგან SMS და აღარ მოგწერთ", „პირდაპირ ჯარიმებით აგავსებთ", „რა მოგწეროთ რა? არ არსებობს ჩემი ანგარიში";
- ✓ ფეისბუქის გვერდის - , ამანათების ტრანსპორტირება ჩინეთიდან" მიერ საპასუხოდ გაგზავნილია შემდეგი შინაარსის შეტყობინებები: „ხარვეზია", „სმს კომპანიის ბოდიშს გიხდით", „ვერ გამოვრთავთ სამწუხაროდ ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული", „გსურთ წაგიშალოთ ექაუნთი?", „პირადი ნომერი მომწერეთ", „ელ ფოსტით ვერ ვნახავთ", „მაშინ ოთახის ნომერი მომწერეთ", „საიტზე ნახავთ", „პირად ნომერს ან აიდს თუ ვერ მომწერთ ვერ წავშლი ექაუნთს", „რადგან საიტზე ვერ მოგძებნით თუ მომწერთ რომელიმეს წავშლი", „სმს კომპანიის საიტი დაჰაკეს და სამწუხაროდ გაურკვეველი მესიჯები იგზავნება".

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 09 ნოემბრის №გ-1/361/2020 გადაწყვეტილებით განცხადება მიღებული იქნა განსახილველად და სამსახურის 2020 წლის 10 ნოემბრის №SIS 8 20 00018341 წერილით შპს " (ს/კ (შემდგომში - კომპანია) გამოთხოვილ იქნა განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

კომპანიის 2020 წლის 27 ნოემბრის №SIS 7 20 00019349 წერილისა და კომპანიის წარმომადგენლის მიერ 2020 წლის 02, 08 და 09 დეკემბერს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე, განმცხადებლის მიერ 2020 წლის 09 დეკემბერს სამსახურის უფლებამოსილ პირთან სატელეფონო კომუნიკაციისას წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების საფუძველზე ირკვევა შემდეგი:

- ✓ კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების შეკვეთების საფუძველზე ტვირთების და ამანათების ტრანსპორტირება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან;
- ✓ მომხმარებლებთან კომუნიკაციის ელექტრონულ პლატფორმას წარმოადგენს ვებგვერდი www.china2me.ge, სოციალურ ქსელ ფეისბუქის გვერდი - „China2me.ge ამანათების ტრანსპორტირება ჩინეთიდან", ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართები: ;
- ✓ კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომპანიის მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელია ვებგვერდზე - www.china2me.ge (შემდგომში - ვებგვერდი) რეგისტრაცია. რამდენადაც ვებგვერდი წარმოადგენს მხოლოდ ტვირთების და ამანათების ტრანსპორტირების მიზნით მომხმარებლებთან ურთიერთობის ელექტრონულ პლატფორმას და სხვა თემატიკას მიკუთვნებული ინფორმაციისა ან/და მომსახურების განთავსება არ ხდება, ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის მიზანი შეიძლება იყოს

მხოლოდ ამ მომსახურებით სარგებლობა ან მის შესახებ (მომსახურების პირობები) ინფორმაციის მიღება;

- ✓ მომსახურების გაწევამდე კომპანიას სჭირდება კონკრეტული პირის იდენტიფიცირება, რისთვისაც რეგისტრაციის პროცესში რეგისტრაციის მსურველისგან ხდება კონკრეტული მონაცემების მოთხოვნა;
- ✓ ვებგვერდზე რეგისტრაციისას სხვა მონაცემებთან ერთად განმცხადებელმა მიუთითა: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი კომპანიის განმარტებით, სახელის, გვარის და პირადი ნომრის შესახებ ინფორმაცია საჭიროა პირის იდენტიფიცირებისათვის, ხოლო, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი - მომხმარებელთან კომუნიკაციის მიზნებისთვის. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში პირთან კომუნიკაციისთვის განკუთვნილი ინფორმაცია შესაძლოა საჭირო იყოს პირის იდენტიფიცირებისთვის;
- ✓ კომპანიის განმარტებით, განმცხადებლის მფლობელობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებები იგზავნებოდა მისთვის მომსახურების გაწევის მიზნით. კერძოდ, ინფორმაცია ხელშეკრულების დადების ფაქტის ანუ შეკვეთის განხორციელების შესახებ, ტვირთის ან ამანათის გადაადგილების შესახებ, ხელშეკრულებაში ცვლილებების ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ ასევე უნდა მიეწოდოს შემკვეთს. შესაბამისად, რეგისტრაციის დროს მომხმარებლის მიერ კონკრეტული (მასთან დასაკავშირებლად საჭირო) ინფორმაციის მითითების საჭიროება გამოწვეულია მისი შეკვეთის შესახებ ინფორმაციის მისთვის მიწოდების საჭიროებით, ანუ შემკვეთისათვის მომსახურების გასაწევად. მაგალითად, თუ შეკვეთილი ტვირთი ან ამანათის ტრანსპორტირება ვერ ხერხდება რაიმე გარემოების გამო, მომხმარებელთან დასაკავშირებლად საჭირო ინფორმაციის (ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი) გარეშე კომპანიისათვის შეუძლებელი იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების (შემკვეთის ინფორმირება) შესრულება, ხოლო შემკვეთს არ ექნება არანაირი ინფორმაცია მისი შეკვეთის შესრულების შესახებ;
- ✓ კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციის შედეგად იმყოფება კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რადგან ვებგვერდზე რეგისტრაცია მომხმარებელს სთავაზობს მრავალჯერად მომსახურებას და მისი რეგისტრაცია არ გაუქმებულა;
- ✓ კომპანიის განმარტებით, განმცხადებლის მფლობელობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომრის დამუშავების სამართლებრივი საფუძველია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ" და „თ" ქვეპუნქტები;
- ✓ 2020 წლის 20 ოქტომბერს კომპანიამ თავის ფეისბუქის გვერდზე მიიღო შეტყობინება ფეისბუქის მომხმარებლისგან - , რომელმაც მოითხოვა მისი ანგარიშის წაშლა. კომპანიისთვის უცნობი იყო ფეისბუქის მომხმარებელი - , და კომპანიის მომხმარებელი იყო თუ არა ერთიდაიგივე პიროვნება, რადგან არ ჰქონდა აღნიშნული ინფორმაცია მითითებული კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციისას ან შემდგომში. ამასთან, ფეისბუქის მომხმარებელმა სახელწოდებით - უარი განაცხადა მისი იდენტიფიცირებისთვის საჭირო ინფორმაციის (პირადი ნომერი ან ვებგვერდზე რეგისტრაციისას მიღებული უნიკალური

ნომრის (ID)) კომპანიის ოპერატორისთვის მიწოდებაზე, ხოლო, მხოლოდ სახელი და გვარი არ იყო საკმარისი კომპანიის მომხმარებლის იდენტიფიცირებისთვის. შესაბამისად, კომპანიამ არ შეწყვიტა მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა და არ წაშალა მისი ანგარიში. თუ ფეისბუქის მომხმარებელი დაადასტურებდა, რომ ის ნამდვილად იყო კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრირებული ან დაუკავშირდებოდა კომპანიას რეგისტრაციისას მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, მობილური ტელეფონის ნომრიდან ან პირადად გამოცხადდებოდა კომპანიის ოფისში, მარტივად მოხდებოდა მისი იდენტიფიცირება და შესაბამისად მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება;

- ✓ კომპანიის მიერ გადამოწმდა კომპანიის ელექტრონული ფოსტის შემომავალი შეტყობინებები და 2020 წლის 11 მაისს ელექტრონული წერილის მიღების ფაქტი ვერ დადგინდა *(შენიშვნა: კომპანიამ სამსახურში წარმოადგინა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება ფოტოსურათის ე.წ. „სქრინშოთის" სახით)*;
- ✓ განმცხადებლის მფლობელობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინება კომპანიის მიერ ბოლოს გაიგზავნა 2020 წლის 02 ნოემბერს;
- ✓ განმცხადებლის მიერ სატელეფონო კომუნიკაციისას წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების თანახმად, მას არ ახსოვს კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციის პროცესში რაიმე ფორმით მიუთითა თუ არა მისი ფეისბუქის ანგარიში;
- ✓ განმცხადებლის განმარტებით, 2020 წლის 11 მაისს კომპანიას ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@china2me.ge შეტყობინება გაუგზავნა პირადი ელექტრონული ფოსტის - მეშვეობით;
- ✓ განმცხადებელმა დაადასტურა, რომ მის მფლობელობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინება კომპანიის სახელით ბოლოს მიიღო 2020 წლის 02 ნოემბერს;
- ✓ განმცხადებელს სურს კომპანიამ წაშალოს განმცხადებლის ანგარიში და მასთან დაკავშირებული ყველა მონაცემი.

სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ 2020 წლის 29 დეკემბერს კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციის პროცესის დათვალიერების საფუძველზე ირკვევა შემდეგი:

- ✓ კომპანია ახორციელებს ტვირთების ტრანსპორტირებას სახმელეთო და საჰაერო გზით. კერძოდ, კომპანია ვალდებულია მოახდინოს მისი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებულ საწყობში მისული ამანათის ტრანსპორტირება თბილისამდე;
- ✓ რეგისტრაციის პროცესში რეგისტრაციის მსურველი მიუთითებს მის შემდეგ პერსონალურ მონაცემებს: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, მისამართი. რეგისტრაციის პროცესში ხდება ასევე იმის მითითება - პირი რეგისტრირდება როგორც ფიზიკური პირი, თუ როგორც იურიდიული პირი. ამასთან, რეგისტრაციის პროცესში რეგისტრაციის მსურველი ეთანხმება ვებგვერდზე განთავსებულ წესებსა და პირობებს.

სამოტივაციო ნაწილი

სახელმწიფო ინსპექტორმა იმსჯელა კომპანიის მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-2 მუხლის „ა", „დ", „ვ" და „ი" ქვეპუნქტების შესაბამისად, პერსონალური მონაცემი (შემდგომში - მონაცემი) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. მონაცემთა დამუშავებას წარმოადგენს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. მონაცემთა სუბიექტი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება. საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას არის მონაცემთა დამმუშავებელი.

განცხადების განხილვის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ კომპანია ამუშავებს განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, მის მფლობელობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომერს - განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციის პროცესში მიუთითა მისი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი. ამასთან, განმცხადებლის მიერ კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციისას მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე - კომპანია 2020 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში აგზავნიდა საინფორმაციო ხასიათის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. ამდენად, კანონის მე-2 მუხლის „ა", „დ", „ვ" და „ი" ქვეპუნქტების შესაბამისად, სახეზეა მონაცემთა სუბიექტის - განმცხადებლის მონაცემის (მათ შორის, მობილური ტელეფონის ნომრის) დამუშავება, მონაცემთა დამმუშავებლის - კომპანიის მიერ.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ არსებობს ამავე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლები. მე-5 მუხლის „ვ" და „თ" ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემთა დაუშავება დასაშვებია, თუ: კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად). ამასთან, საგულისხმოა, რომ კანონის მე-5 მუხლი მონაცემთა დაცვის გარანტიას ქმნის მხოლოდ ამავე კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მონაცემთა დაცვის პრინციპებთან ერთობლიობაში, რომლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება უნდა განხორციელდეს მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვით.

კომპანიის განმარტებით, მონაცემების დამუშავება ხდება კანონის მე-5 მუხლის „ვ" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე, რაც მოიაზრებს კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში ინფორმაციის მიწოდებას.

კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ, ხოლო ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უარის თქმის საფუძველი.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის განმარტებით, მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნით მან მიმართა კომპანიას როგორც ფეისბუქის, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კომპანიამ განცხადების განხილვის ფარგლებში დაადასტურა, რომ ფეისბუქის მომხმარებელმა - , მიმართა 2020 წლის 20 ოქტომბერს და მოითხოვა მისი ანგარიშის გაუქმება. ამასთან, კომპანიის განმარტებით, რეგისტრაციის პროცესში არ ჰქონდა მითითებული მისი ფეისბუქის ანგარიშის შესახებ *(შენიშვნა: აღნიშნულის საპირისპირო პოზიცია განცხადების განხილვის ფარგლებში არ დაუფიქსირებია განმცხადებელს).* რამდენადაც კანონი ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებას, მონაცემთა დამმუშავებელი მონაცემთა დამუშავების შეწყვეტამდე ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურებამდე უნდა დარწმუნდეს, რომ პირი რომელიც მას მოთხოვნით მიმართავს, ნამდვილად მონაცემთა სუბიექტია. კომპანიის განმარტებით, კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან სწორედ მომხმარებლის იდენტიფიცირების მიზნით მოხდა მისთვის დამატებითი ინფორმაციის (პირადი ნომერი ან/და რეგისტრაციის პროცესში მინიჭებული უნიკალური ნომერი) მოთხოვნა, რაზეც ფეისბუქის მომხმარებელმა - უარი განაცხადა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ მოხდა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება და, შესაბამისად, არ შეწყდა მისი მონაცემების დამუშავება (მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა და კომპანიის ვებგვერდზე მისი რეგისტრაციის გაუქმება).

აღსანიშნავია, რომ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს კომპანიასა და შორის წარმოშობილ კერძო სამართლებრივ ურთიერთობაზე. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ხოლო, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველია, მათ შორის, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება. განსახილველ შემთხვევაში, მიერ კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციის შედეგად მხარეთა შორის წარმოიშვა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის ძალითაც და კომპანიას ერთმანეთის მიმართ წარმოეშვათ უფლება-მოვალეობები. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ამდენად, გარკვეულ

შემთხვევებში სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში შესაძლოა შეიცვალოს გარემოებები და შესაბამისად, წარმოიშვას კონტრაჰენტისთვის (ხელშეკრულების მხარე) შეცვლილი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება (მაგ., ტარიფის ცვლილების, მისამართის ცვლილების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.). გარდა ამისა, ვებგვერდზე რეგისტრაციის გაუქმება შეიძლება შეფასდეს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა, რისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების კონტრაჰენტი დარწმუნებული იყოს, რომ ხელშეკრულების მხარეს სურს ხელშეკრულებიდან გასვლა, რათა მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში არ აღმოჩნდეს, რომ რეალური ხელშეკრულების მხარეს არ წარუდგენია ხელშეკრულებიდან გასვლაზე მოთხოვნა, და ამით კომპანიას არ წარმოეშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

განსახილველ შემთხვევაში კომპანია მზადყოფნას აცხადებდა შეეწყვიტა განმცხადებლის მონაცემების დამუშავება, თუ ფეისბუქის მომხმარებელი მიაწვდიდა კომპანიის თანამშრომელს კომპანიაში რეგისტრირებული პირის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ინფორმაციას (პირადი ნომერი ან ვებგვერდზე რეგისტრაციისას მიღებული უნიკალური ნომერი (ID)). თუმცა, ფეისბუქის მომხმარებლის მიერ არ მომხდარა აღნიშნული ინფორმაციის კომპანიისთვის მიწოდება, რის გამოც კომპანიამ ვერ მოახდინა მისი იდენტიფიცირება და არ შეწყვიტა მონაცემთა დამუშავება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება კომპანიის მიერ კანონის 23-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტი.

კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონითა და სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე და 264-ე მუხლების შესაბამისად კი, ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მტკიცებულებების შეფასების შემდგომ, საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას დააფუძნოს მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, ამავე კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას, კომპანიის მიერ მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნასთან დაკავშირებით კომპანიისთვის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართვაზე, კომპანია აღნიშნულ ფაქტს უარყოფს. ამასთან, განცხადების განხილვის ფარგლებში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განმცხადებლისა და კომპანიის მიერ წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი გარემოებები და მტკიცებულებები. შესაბამისად, მხოლოდ განმცხადებლის მითითება, რომ მან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართა კომპანიას მისი მონაცემების შეწყვეტის მოთხოვნით, მაშინ როცა განცხადების განხილვის ფარგლებში ვერ იქნა მოპოვებული სხვა სათანადო მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა კომპანიის მიერ წარდგენილი შეტყობინების

მიღება, ვერ იქნება მიჩნეული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგენისა და შესაბამისად, პირისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საკმარის მტკიცებულებად.

ამდენად, განცხადების განხილვის ფარგლებში არ დადგინდა კომპანიის მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონით დადგენილი წესების დარღვევით დამუშავების ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებელმა გამოხატა ნება, კომპანიის მიერ მოხდეს ვებგვერდზე მისი რეგისტრაციის გაუქმება და მასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის წაშლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე, 237-ე და 264-ე მუხლების, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-3[1], მე-4, მე-5, 22-ე, 23-ე და 55-ე მუხლების და „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-13, მე-14 და მე-16 მუხლების საფუძველზე,

სახელმწიფო ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს 2020 წლის 02 ნოემბრის №SIS 0 20 00017867 განცხადების განხილვა.
2. შპს , (ს/კ , დაევალოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში:

2.1. უზრუნველყოს კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციის გაუქმება და მასთან დაკავშირებული მონაცემების წაშლა;

2.2. შეწყვიტოს მფლობელობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომრის - დამუშავება;

2.3. წერილობით აცნობოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს გატარებული ღონისძიებების შესახებ.

3. განმცხადებელსა და შპს , ' ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
4. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

ლონდა თოლორაია

სახელმწიფო ინსპექტორი